იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჲლოს ხევი


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი

№ 8 (126)

ივნისი,

1965 წელი



საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თბილისი

ამ სურათზე თქვენ ხედავთ დიდი ქართველი პოეტისა და მამულიშვილის, ჩვენი კლასიკური მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლის — უკვდავი „დავითიანის“ შემქმნელის დავით გურამიშვილის ქანდაკებას, რომელიც ამ დღეებში დაიდგა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, როგორც ძეგლად ზეაღმართული სიმბოლო დიდი ადამიანური გულისა და გარდასულ ჟამთა სიავისა.

ქანდაკების ავტორია ახალგაზრდა ქართველი სკულპტორი მერაბ ბერძენიშვილი, რომელიც ღრმად ჩასწვდა დავით გურამიშვილის შემოქმედებას და ჩვენი თანამედროვეობის თვალწინ შთაგონებით გააცოცხლა დიდი პოეტის სახე.

მერაბ ბერძენიშვილის „დავით გურამიშვილი“ ქართული პორტრეტული ქანდაკების ახალი მონაპოვარი და საქართველოს დედაქალაქის მორიგი მშვენებაა.

ᲡᲐᲥᲝᲛᲔᲑᲨᲘ

მესხეთის ბაღებში


მესხეთის ბაღებში შესანიშნავი ზამთრის ჯიშის ვაშლი და მსხალი ხარობს. ზღვის დონიდან 1.000—1.400 მეტრ სიმაღლეზე, მზის ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით ხილი განსაკუთრებით სურნელოვანი, გემრიელი წვნიანი ხდება. ასეთია ვაშლი „შაქარნაბადა“, მსხალი „მესხეთური გულაბი“.

ხეხილის ბაღებს ოდესღაც მთებში დიდი ფართობი ეკავა, მაგრამ შემდეგ მებაღეობა დაკნინდა, მთის კალთები გაშიშვლდა. მესხეთში მებაღეობის აღორძინება დაიწყეს ჩვენს დღეებში. მთებში გაჩნდა ხეხილის ბაღების დიდი მასივები. მესხეთი ხილის ერთ-ერთი წამყვანი მიმწოდებელია. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში გვიან შემოდგომაზე აქედან იგზავნება ხილის დიდი პარტიები.

სოფელ ვალეს კოლმეურნეობა ცნობილია თავისი შესანიშნავი ჩეკარტოფილებით, ახლა კი მათ მებაღე ოსტატებიც შეემატნენ. ჰექტარზე 80—100 ცენტნერი ხილის მოსავალი კოლმეურნეობაში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მებაღეობას საზოგადოებრივი მეურნეობისათვის დიდი შემოსავალი მოაქვს, ამიტომ გრძელდება ახალი მიწების ათვისება, კიდევ უფრო დიდდება ბაღების მოსავლიანობა.

შესანიშნავი შედეგები მოიპოვეს აწუურის მერძევეობა-მებოლეობის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდებმა. მათ წარმატებით ათვისეს მეხილეობის, მეველახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მიერ რეკომენდებული მეთოდი მთის კალთების დატერასებისა, რომლებზეც იმდენსავე ნერგს რგავენ, რამდენსაც დაბლობებში.

ხეხილის ბაღებისათვის ყამირი მიწები გამოჰყვეს მთის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ნერგები ახალი ბაღებისათვის გამოჰყავთ აღგილობრივ სათბურებში, აგრეთვე სკრის საცდელ სადგურში.



სურათზე: რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხანა.

ჰაერი სპოგს მტვერს

ნახევარი წლის წინათ მადნეულის მაღაროში ჩავიდა თბილისის შრომის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მტვერსაწინააღმდეგო ლაბორატორიის თანამშრომელთა ჯგუფი. ეს მათ სპეციალურად დაავალეს ურალელმა მანქანათმშენებლებმა. კომბინის მანქანათმშენებლო ქარხნის კოლექტივმა სთხოვა მათ შეექმნათ მტვერსაწინააღმდეგო ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობდა ბურღვის დროს წარმოშობილი მტვრის ჩვეულებრივ წყლით იქერებას, რომელსაც შეკუმშული ჰაერით ერთად აწვდიან ჭაბურღილში. მაგრამ ასეთი წესის დროს მტვერი მთლიანად არ სველდება. ეს ამცირებს ჩარხის წარმადობას, აროვევს სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს.

ქართველმა სპეციალისტებმა წინადადება წამოაყენეს კარიერებში მშრალი გაუმტვერიანების მეთოდი გამოეყენებინათ. ექექტორის — სპეციალური სამარყვის მეშვეობით, რომელიც შეკუმშული ჰაერით მოქმედებს, ჭაბურღილიდან გამოიწოვება მტვერჰაერის ნარევი, რომელიც სპეციალურ მიმღებში შედის, იქიდან კი მტვერსაჭერში.

ამჟამად ინსტიტუტის საექსპერიმენტო სახელოსნოში უკვე ამთავრებენ მშრალი გაუმტვერიანების საცდელი დანადგარის დამზადებას.

ნარჩენი — პლასტიფიკატორი

როგორც ცნობილია, სამშენებლო ხსნარებს ხარისხის გასაუმჯობესებლად უმატებენ პლასტიფიკატორებს. პლასტიფიკატორად ჩვეულებრივ იყენებენ კირს ან თიხას, რაც ბევრ ხარჯს მოითხოვს.

„მთავართბილისმშენის“ ცენტრალური ლაბორატორიის თანამშრომლებმა წინადადება წამოაყენეს „25“ — „100“ მარკის სამშენებლო ხსნარების პლასტიფიკატორებად გამოიყენონ საპნიანი თუთქი—საპნის წარმოების ნარჩენი, საპნის თუთქიანი ერთი კუბური მეტრი ხსნარი 10 პროცენტით იაფია ცემენტ-კირის ან თიხის ხსნარზე. ერთი კუბური მეტრი თუთქიანი ხსნარის დასამზადებლად საჭიროა 44 კილოგრამით ხაკლები ცემენტი, ვიდრე ცემენტ-თიხის ხსნარისათვის.

საპნიანი თუთქის გამოყენება პლასტიფიკატორად „მთავართბილმშენის“ სისტემაში ყოველწლიურად დაზოგავს დაახლოებით 70 ათას მანეთს.

ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ...

ჩვენი ქვეყნის რადიოტექნიკური და ელექტროტექნიკური მრეწველობის ათობით საწარმოში იგზავნება თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლატის“ პროდუქცია. წლითიწლობით იზრდება მოთხოვნილება საიზოლაციო მასალებზე, რომელსაც ეს საწარმო უშვებს. მიმდინარე წელს ქარხანა დაამზადებს ერთიორად მეტ პროდუქციას, ვიდრე შარშან.

ქარხანა ფართოვდება. ახლა მთავრდება ახალი საამქროს მოწყობილობის მონტაჟი. ორი 1.600-ტონიანი წნეხის ამუშავების შემდეგ აქ გამოუშვებს საიზოლაციო მასალის — გეტინაქსის პირველ პარტიას.

ქარხანაში დააპროექტეს და ახლა ამონტაჟებენ ორ ღუმელს — ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურ ღუმელებს ქაღალდისა და ქსოვილების ლაქით გასაღენთად და შემდეგ გამოსაშრობად. ამ ღუმელების ამუშავების შემდეგ გაიზრდება ტექსტოლიტისა და გეტინაქსის წარმოება. ამავე დროს საწარმოს კოლექტივი ითვისებს ახალ პროდუქციას — ფოლგირებულ გეტინაქსს.

ქარხნის რენტაბელობაში დიდი წვლილი შეაქვთ საწარმოს ნოვატორებს. მაგალითად, მიკა და მინამიკალენტის ტრანსპორტირებისათვის აუცილებელია ჰერმეტული ტარა. ამისათვის წინათ რკინის ფილის ნაკერებსა და ხუფს მოკალავდნენ ხოლმე. ახლა ძვირფასი კალა შეცვალეს ეპოქსიდური ფისით. ამის შედეგად ქარხანამ მიიღო 10 ათასი მანეთი წლიური ეკონომია.

შვიდწლედის ბოლო წლის ხუთ თვეში ქარხნის კოლექტივმა გამოიმუშავა ასი ათას მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია.

14 ქვეყნის მეცნიერთა ფორუმი

იუნესკოს თათბირი სეისმოლოგიის საკითხებზე თბილისში

დიდი ხანია საქართველოს დედაქალაქში არ შეკრებილა მეცნიერთა ასეთი თანაგარსკვლავედი. მსოფლიოს 14 ქვეყნის უდიდესი სპეციალისტები სეისმოლოგიის დარგში მონაწილეობდნენ იუნესკოს სეისმოლოგიისა და სეისმომედეგი მშენებლობის საკონსულტაციო კომიტეტის თათბირში, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა ივნისში.

ამავე დროს ტარდებოდა აგრეთვე იუნესკოს მუშა ჯგუფების სხდომები სეისმოსროების, სეისმოტექტონიკისა და საინჟინრო სეისმოლოგიის საკითხებზე.

თათბირზე იუნესკოს წარმომადგენლები არიან სამდივნოს თანამშრომლები ჟ. ჭურნიე დ' აღბი და ფ. მონახოვი.

— როგორც ცნობილია, — თქვა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში მონახოვმა, — იუნესკო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ის ორგანიზაციაა, რომელიც განიხილავს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებს. მრავალ პრობლემას შორის, რომლებიც შედის მისი საქმიანობის სფეროში, არის აგრეთვე დედამიწის სეისმურობის შესწავლა და მიწისძვრისაგან მოსახლეობის დაცვის ღონისძიებათა შემუშავება.

ამა თუ იმ მოცულობით ამ პრობლემას სწავლობენ ბევრ ქვეყანაში, მაგრამ მის ზოგიერთ ნაწილს ჭირდება ძალთა გაერთიანება საერთაშორისო მასშტაბით. სწორედ იუნესკოა ის ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია ამის განხორციელება და უნდა განახორციელოს კიდეც. გარდა ამისა, იუნესკომ უნდა გამოიყენოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება და დახმარება გაუწიოს განვითარებად ქვეყნებს. ზოგ მათგანს ჯერჯერობით არა აქვს შესაძლებლობა შეისწავლოს თავისი ტერიტორიის სეისმურობა და საკუთარი ძალებით შეიმუშაოს მიწისძვრისაგან დაცვის ღონისძიებანი.

იუნესკოს 13-ე გენერალურმა კონფერენციამ, რომელიც შარშან გაიმართა პარიზში, გადაწყვიტა მთელი რიგი ქვეყნების გამოჩენილ სეისმოლოგ მეცნიერთა მონაწილეობით მოიწვიოს თათბირი, რომელიც განსაზღვრავს იუნესკოს ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანებს ამ დარგში და რეკომენდაციას გაუწევს ამ ამოცანათა შესრულების საორგანიზაციო სქემას.

თქვენი ქალაქი თათბირის მოსაწყობად იმასთან დაკავშირებით ავირჩიეთ, რომ სსრ კავშირში და, კერძოდ, საქართველოში სეისმოლოგია მეტად მაღალ დონეზე დგას.

სსრ კავშირის სეისმოლოგები და სეისმოგეოლოგები განუწყვეტლივ იღებენ აქტიურ მონაწილეობას იუნესკოს პროექტების განხორციელებაში. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ბელოუსოვის, პროფესორების ს. მედვედევის, გ. გორკოვის, ს. პოლიაკოვის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ე. კარუსის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. სორსკისა და სხვათა საქმიანობა.

თბილისის თათბირი მოამზადებს დედამიწის სეისმურობისა და სეისმოტექტონიკის შესწავლის პროგრამას, შეიმუშავებს სავალდებულო სამშენებლო ნორმების იმ ქვეყნებში დანერგვის ღონისძიებებს, სადაც ხშირია მიწისძვრა. თათბირმა განიხილა აგრეთვე საორგანიზაციო საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია იუნესკოს სეისმოლოგიური პროექტის შემდგომ განხორციელებასთან (მიწისძვრის მსოფლიო კატალოგების, სეისმოტექტონიკური რუკების, სახელმძღვანელოებისა და სხვ. მომზადება).

გრძელი განვლილი გზა

გვიანი შემოდგომა, 1942 წელი. ყირიმის ფრონტი. მიწური.

— შემდეგი! — სანიტრებამდე ძლივს აღწევს ექიმის ხმა. გაჰყავთ შეხვეული და საოპერაცო მაგიდაზე მის ადგილს ახალგაზრდა ქართველი მეთაური იჭერს. მუცლის ღრუს მძიმე დაზიანება, დაჭრილია კუჭი, ელენთა, ღვიძლი, ნაწლავები. დაჭრილს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ატყვია, მხოლოდ სუსტი მაჯისცემა იმედს აძლევს ექიმს.

— დანა, პინცეტი, კოხერი, ნიკულიჩი, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაისმის მიწურში, გარეთ კი თითქოს მეორედ მოსვლაა, მიწის ერთი გოჯიც არ რჩება დაუცხრილავი.

აუჩქარებლად და რიტმულად მუშაობს ოთხი ხელი. ორი ექიმი ქალი თვითდაჯერებით და შეურყეველი სიჯიუტით ებრძვის სიკვდილს. სიკვდილი ახლოს არის გამარჯვებასთან, მაგრამ არც სიცოცხლეა დაუკარგავს იმედი. უსიტყვოდ, წამით ჩახედავენ ხოლმე ერთურთს თვალებში დოსტაქრები და თითქოს ყველაფერს ეუბნებიან: „უნდა იცოცხლოს, გესმის! უნდა იცოცხლოს, აუცილებლად უნდა იცოცხლოს-“.

წუთი წუთს მისდევს.

გარეთ ქვა ქვაზე დუღს, თითქოს მეორე მოსვლააო.

მიწურში კი ნამდვილად მეორედ მოსვლაა, უფრო სწორად მეორე დაბადება.

სიცოცხლე იმარჯვებს.

დაჭრილმა თვალები გაახილა, სწრაფად დახუჭა, კვლავ გაახილა. სახეზე სიხარული და გაოცება გამოეხატა.

რა გვარი ხართ, ექიმო? — მისუსტებული ხმით, პირდაპირ ქართულად იკითხა.

— მესხი, ელეონორა მესხი.

— ოლია გველესიანი.

დაჭრილმა თვალები ისე მილულა.

— მე ჯანაშია ვარ, კოკის მეძახიან. თუ ვიცოცხლე, არასოდეს არ დაგივიწყებთ, არასოდეს.

1943 წლის დასაწყისი.

ამიერკავკასიის ჯარების სანიტარულ სამმართველოში სამხედრო ფორმიანი მამაკაცი შევიდა.

— ყირიმის ფრონტზე შეხვდი ქართველ ექიმ ქალებს — ელეონორა მესხსა და ოლია გველესიანს. გთხოვთ მომცეთ მათი ოჯახების მისამართები და მითხრათ სად არიან ისინი ამჟამად.

— გველესიანი ისევ ფრონტზეა. ამჟამად სად იმყოფება, ვერ გეტყვით, ელეონორა მესხი... — საეჭვოდ გაავრძელა სამმართველოს თანამშრომელმა. მერე პატარა უჯრა გაჰხსნა და ქაღალდებში ქექვა დაიწყო. — ელეონორა მესხი..,. — ბორძიკით განაგრძო ცოტახნის შემდეგ, — მესხი, დაიღუპა.

მაგიდაზე ექიმი ქალის დაღუპვის ოფიციალური ცნობა იდო. კოკი ჯანაშიამ მხოლოდ გვარი ამოიკითხა და უსიტყვოდ გაბრუნდა. მუხლმოკვეთილი, ღრმად ჩაფიქრებული მიჰყვებოდა ჭუჩას. წამით ძველი ნაიარევის ყრუ ტკივილიც იგრძნო.

ამ დღის შემდეგ სულ რამდენიმე თვე გავიდა. ამ დროისათვის საგრძნობლად შებრუნდა ომის ბედის ჩარხი. საბჭოთა მეომრები შეუპოვარი ბრძოლებით მიიწევდნენ წინ, ათავისუფლებდენ მტრის მიერ დაკავებულ სოფლებსა და ქალაქებს. ერთიმეორეზე სასიხარულო ცნობებს გადმოსცემდა რადიო.

რუსთაველის პროსპექტზე, ჰავჰავაძის ქუჩის ასახვევთან ხალხი შეჯგუფებულიყო და ახალ საინტერესო ცნობას ისმენდა. მათთან ერთად იდგა კოკი ჯანაშია. ანაზღადა მას ზურგიდან ნაცნობი სახელი მოესმა. თუმცა ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუცია, მაგრამ მაინც ზანტად მობრუნდა და... საოცრებავ, ნუთუ ესეც მეორე დაბადებაა...

დიდი ხნის უნახავი და-ძმასავით გადაეხვივნენ ერთმანეთს და სიხარულისა და მწარე მოგონების ცრემლი ვაჟკაცმაც ვერ შეიკავა.

— ქალბატონო ელეონორა! ძვირფასო დაო, ექიმო! ცოცხალი ხართ!

— ეგ მე უნდა გკითხო, კოკი.

ის საღამო „მკვდრეთით აღმდგარმა“ ფრონტელმა მეგობრებმა მოგონების ტკბილ საუბარში გაატარეს.

..,1930 წლის დამლევს ახალგაზრდა ქალმა დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, მიიღო დიპლომი წარჩინებით და დატოვებულ იქნა მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე. აქედან იწყება ელეონორა მესხის შემოქმედებითი ბიოგრაფია. მალე ჯანმრთელობის სამინისტროს ბრძანებით ელეონორა ორდინატორად გაგზავნილ იქნა ქუთაისში, ახლად გახსნილ სამშობიარო სახლში, სადაც შეიქმნა „დედათა და ბავშვთა სამეცნიერო-საკვლევი რესპუბლიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალი“.

ახალგაზრდა ქირურგი თავიდანვე ინტერესითა და გულისყურით მოეკიდა საქმეს. აქ მუშაობის 10 წლის მანძილზე პრაქტიკულთან ერთად სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. დაამთავრა საკანდიდატო დისერტაცია და საკმაოდ გამობრძმედილსა და დაოსტატებულ ექიმ ქალს წითელარმიელის ფარაჯა ჩააცვეს, 1941 წლის 22 ივნისს, ომის გამოცხადების პირველ დღესვე, ჯარში გაიწვიეს.

ყირიმის ფრონტი. ჯოჯოხეთური ბრძოლების ადგილი, ელეონორა წინა ხაზზეა, სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის ქირურგად, ბატალიონის უფროსის მოადგილედ მუშაობს, თან დივიზიის ხაზით დავალებული აქვს სისხლის გადასხმის საქმის ხელმძღვანელობა.

პირველი დღეები წარმოუდგენლად საშინელია. დღედაღამ საოპერაციო მაგიდასთან, ტანთგაუხდელი, მწიერ-მწყურვალი, თუმცა საკუთარ თავზე ფიქრის დრო სადღაა. დაჭრილი დაჭრილს ცვლის, ხან ერთიმეორეზე იხოცებიან ისე, რომ ექიმი ოპერაციის დაწყებასაც ვერ ასწრებს, ხან კი უიმედონი კვლავ უბრუნდებიან ამ ქვეყანას.

— დანა, პინცეტი, კოხერი, ნიკულიჩი, — წამდაუწუმ გაისმის მიწურში. დგას მარჯვენადაუღლელი ქართველი ქალი და მთელ თავის უნარსა და ენერგიას სამშობლოსა და თავისუფლებისათვის თავგანწირულ მებრძოლთა სიცოცხლის შენარჩუნებას ახმარს.

ვინ იცის რამდენისათვის დაუბრუნებია სიცოცხლე, რამდენის ოჯახი დაუფარავს ძაძებისა და გლოვისაგან... იგი მარტო მკურნალი კი არა, მებრძოლი მეგობარიც იყო, მშობლიურ სითბოსა და სიმხნევეს გრძნობდნენ მისგან. სამშობლოს, სიცოცხლისა და საქმის სიყვარული ენერგიასა და რწმენას მატებდა პატრიოტ ქალს. ის მუდამ ფხიზლად იდგა ადამიანთა სიცოცხლის სადარაჯოზე. გაბრივების ჟამს საკუთარი სისხლიც კი გაუღია. ვინ იცის, სად არიან ახლა ისინი, ვისაც ძარღვებში მისი სისხლი უდგას.

ელეონორას არასოდეს არ დავიწყებია ჭერჩის აღების ერთ-ერთ სადესანტო ოპერაციასთან დაკავშირებული საბრძოლო epიზოდები. ბრძოლით გავლილი ათობით კილომეტრი, ფეხით გადალახული გაყინული აზოვის ზღვა და ამავე დროს სისტემატურად საოპერაციო მაგიდასთან დგომა, თუცა ეს მაგიდა ხშირად პირდაპირ მიწაზე დაგებული მებრძოლის ფარაჯა ან სახელდახელოდ მოწყობილი ფიცრის საწოლი იყო.



სურათზე: ელ. მესხი.

ცოტა ხნით ბატალიონმა უზენაიკისა და აკმანაის მიდამოებში ჩაიმუხლა. და აი აქ მომხდარ ერთ-ერთ epიზოდს სიამოვნებით იგონებს ექიმი:

— მოვიდა ცნობა, რომ ჩვენს მეზობლად დგას ქართული დივიზია, რომლის ერთ-ერთ დაჭრილ მეთაურს სისხლის გადასხმა სჭირდება (დივიზიის კომისარი იყო მუსერიძე, მეთაური ზამბახიძე, მათი სახელები, სამწუხაროდ, არ მახსოვს). დაგვევალა და წავედით ორნი. გათენებამდე თითქმის აღარაფერი რჩებოდა. ნახევარი კილომეტრი კი ფორთხვით უნდა გაგვევლო. სინათლე ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი არ იყო. მივაღწიეთ კიდეც დივიზიას, და დაიწყო დაბომბვა. ამ დროს რამდენიმე მეტრზე საოცარი სურათი გადამეშალა: ზღვის ნაპირზე აღმართულ კლდის კედელზე დიდი ასოებით ეწერა: „ჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

(დასასრული მე-6 გვ.).

მოკლე ცნობები

ქალაქ კასპში შეიქმნა სოფლის მეურნეობის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც ძირითადად გაერთიანებული არიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტები. უნივერსიტეტს აქვს ორი ფაკულტეტი — აგრონომიული და ზოოტექნიკური.

* * *

ფულუკაძის რაიონის სოფელ გუბის ჩაის ფაბრიკამ უკვე მიიღო და გადაამუშავა ათობით ტონა ნედლეული. წელს საწარმო მიიღებს და გადაამუშავებს 2.634 ტონა ფოთოლს, 200 ტონით მეტს, ვიდრე შარშან.

* * *

თელავის რაიონის სოფელ შალაურის კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო სანერგე მეურნეობა. იგი თელავისა და მისი მეზობელი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებს უზრუნველყოფს ვაზისა და ხეხილის ნერგებით.

* * *

ყოველწლიურად ასობით ტყიბულელი მეშახტე და მშენებელი ისვენებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებსა და აგარაკებზე. წელს პროფკავშირის შეღავათიან საგზურს მიიღებს 500-ზე მეტი მეშახტე და მშენებელი.

* * *

ახალ სასწავლო წელს კარგ საჩუქარს მიიღებს ქალაქ ბორჯომის გ. ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის მშენებლობა. რაიონულ ცენტრში შენდება სამსართულიანი კაპიტალური შენობა. მშენებლობისათვის ასიგნებულია 82 ათასი მანეთი.

ელექტრონული მანქანა გეგმავს...

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები უბანი — სპეციალური ჩარხების საამქროს წლიური გეგმა შედგენილია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დახმარებით.

ჩვეულებრივ ქარხანა წელიწადში ძირითადი პროდუქციის გარდა პატარა სერიებად, ზოგჯერ კი თითო-თითოდ უშვებს სხვადასხვა მოდელის სპეციალურ ჩარხებს, რომლებიც განკუთვნილია ნავთობის, ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის საჭიროებებისათვის. საწარმოს მუშაკებს უძნელდებოდათ ყველაზე ეკონომიური წარმოების გეგმის შედგენა. ძნელი იყო ზუსტად გაეანგარიშებინათ მოწყობილობის მიზანშეწონილი დატვირთვა და მაღალცვალიფიციურ სპეციალისტთა შრომის სწორად გამოყენება. ქარხნის ეკონომისტებს დაეხმარა გამოთვლითი ტექნიკა.

ინჟინრებმა ა. ედიბერიძემ, დ. ამაშუკელმა, ტ. მახვილაძემ და ლ. ინაურმა, ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის განყოფილების უფროსის ა. გეთიას ხელმძღვანელობით, გამოიყენეს საამქროს 1965 წლის გეგმის წინასწარი ვარიანტი და შეიმუშავეს მისი მათემატიკური მოდელი. ვატმანის ფურცელზე მწყობრ რიგებად გამწკრივდა ციფრები და პირობითი ნიშნები, რომლებიც აღნიშნავენ საამქროს მოწყობილობას, გამოშვებული ჩარხების სახელწოდებასა და მათი დამზადებისათვის საჭირო შუშების რაოდენობას, ჩარხების წარმოებისათვის საჭირო ელექტროენერგიისა და ლითონის ხარჯვას. მიღებული ჩანაწერის მეშვეობით განყოფილების თანამშრომლებმა შეადგინეს მთელი რიგი განტოლებანი. ისინი ამოხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ელექტრონულ - საანგარიშო მანქანამ. ამ საფუძველზე შემუშავებულია საამქროს მუშაობის წლიური გეგმის ყველაზე მოზანშეწონილი და ოპტიმალური ვარიანტები.

„თქვენ მიერ შესრულებულ მუშაობას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და მიღებულია სახელმძღვანელოდ 1965 წლის გეგმის შედგენის დროს...“—ასე გამოეხმაურა ინსტიტუტის სპეციალისტთა ამ გამოკვლევას ჭიათურის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მთავარი ეკონომისტი.

სინთეზიკის გამოყენებით

წელს თბილისის სართავსატრიკოტაჟო კომბინატმა სინთეზური მასალების შვიდი ახალი სახეობის ნაკეთობა აითვისა. ეს არის ქალის ჯემპრები, მამაკაცის საზაფხულო პერანგები, ბავშვის ხაოიანი საკოფტები, ელასტიკისაგან დამზადებული მამაკაცისა და ქალის სამბანაო კოსტიუმები.

კომბინატის საექსპერიმენტო ლაბორატორიაში უჩვეულო ცდა მოაწყეს: „შეაჯვარეს“ ქიმიური ბოჭკოები — აცეტატი ვისკოზასთან და ბამბეულის ნართთან. ასეთი ხარისხისაგან შეკერილმა ტანსაცმელმა მოსკოვის დათვალიერებაზე უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და იგი მიიღეს გამოფენისათვის „მსოფლიო სტანდარტების ნიშნები“. იგი მაღალი ხარისხისაა, ლამაზად არის შეფერადებული და, რაც მთავარია, ბევრად უფრო იაფია, ვიდრე ნართის ტანსაცმელი.

წელს კომბინატი ორასი ათასზე მეტ საცვალს გამოუშვებს სინთეზური ნართისაგან.

ბოროდინოს არწივი

ბოროდინოს ბრძოლის გმირზე, სახელგანთქმულ მხედართმთავარ პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონზე ბევრ გაძოკვლევასა და მხატვრულ ნაწარმოებშია ლაპარაკი. გენიალური რუსი მწერალი ლ. ტოლსტოი თავის უკვდავ რომანში („ომი და მშვიდობა“) გულთბილად და ცხოველად გვიხატავს ბაგრატიონის სახეს. მისი გმირობისადმი ძიძღვნილია ს. გოლუბოვის წიგნი „ბაგრატიონი“.

პ. ბაგრატიონი იმ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა წინაპრებმა თავიანთი ცხოვრება ადრიდანვე დაუკავშირეს ერთმორწმუნე რუსეთს. იგი ქართლის მეფის იესეს შვილიშვილის ვაჟია. პეტრეს პაპა ალექსანდრე 1757 წელს გადასახლებულა ჭ. ყიზლარში, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ მისი ძე იოანეც ჩასულა იქ ოჯახით.

პ. ბაგრატიონი დაიბადა ყიზლარში 1765 წელს. მამა-პაპის მსგავსად სამხედრო სამსახურისადმი ძიდრეკილება მასაც ბავშვობიდანვე გამოაჩნდა. ამ მიზნით გაემგზავრა იგი პეტერბურგს მამიდა ანასთან, რომელიც გავლენიანი თავადის ბორის გოლიცინის მეუღლე იყო. სწორედ იმ დროიდან იწყება პეტრეს სამხედრო კარიერა: იგი კავკასიის მუშკეტერთა პოლკში ჩარიცხეს და სერჟანტის წოდება მისცეს.

მისი პირველი ხანის სალაშქრო მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ერთი ფაქტი. პოლკი, რომელშიც პეტრე იყო ჩარიცხული, იმ დროს ამბოხებულ მთიელთა წინააღმდეგ იბრძოდა. პეტრემ თავისი ნიჭით და სიმამაცით ყველას ყურადღება მიიპყრო და მალე პოლკოვნიკ პიერის ადიუტანტი გახდა. ცხარე ბრძოლაში მთიელებმა გაანადგურეს პიერის რაზმი, თვით პიერიც მოკლეს. ხოლო ბაგრატიონი მძიმედ დაიჭრა. ჩეჩნები, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდნენ მოწინააღმდეგეებს, თავს წაადგნენ გრძნობადაკარგულ პეტრეს და ხელი არ ახლეს, სიცოცხლე შეუნარჩუნეს. სამხედრო ისტორიკოსი ვ. ეერვე ამ ფაქტთან დაკავშირებით წერს: მთიელებმა „იცნეს იმ კეთილშობილ ქართველთა მამაცი შვილი, რომლებიც მოზდოკში ცხოვრობდნენ და ეხმარებოდნენ არა მარტო თავიანთ თანამემამულეებს, არამედ სხვებსაც, მაგალითად, ქალაქის მიდამოებში მცხოვრებ ჩეჩნებს. მადლიერების გრძნობამ გაიღვიძა მთიელებში და ყველა ზომა მიიღეს საკუთარი მსხვერპლის გადასარჩენად. საბედნიეროდ, ეს მოახერხეს კიდეც“.

პ. ბაგრატიონმა მრავალ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა და თავი ისახელა, მაგრამ მისმა სამხედრო ნიჭმა და უსაზღვრო სიმამაცემ ყველაზე ბრწყინვალედ იჩინა თავი რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში — ბოროდინოს ბრძოლის მრისხანე დღეებში. სწორედ აქ, ბაგრატიონის ფლეშებთან დაიმსხვრა საფრანგეთის უძლეველი არმიის საუკეთესო ნაწილები, აქ განიცადა საბოლოო მარცხი რუსეთის დამორჩილების ნაპოლეონის გეგმამ.

ბოროდინოს ველზე წარმოებულ გაფთრებულ ბრძოლაში პ. ბაგრატიონი მძიმედ დაიჭრა. უშედეგო აღმოჩნდა მკურნალობა: 1812 წლის 12 სექტემბერს იგი გარდაიცვალა სოფელ სიმში და იქვე დაასაფლავეს. 1839 წლის აგვისტოში ცნობილი პარტიზანის გენერალ დენის დავიდოვის თაოსნობით მისი ნეშტი გადაასვენეს და ბოროდინოს ველზე დაკრძალეს.

პეტრე ბაგრატიონის დაბადების 200 წლისთავის გამო



პ. ბაგრატიონს სახელს ყოველთვის სიყვარულით ახსენებს რუსი ხალხი, რომლის დამოუკიდებლობის დაცვას შესწირა მან სიცოცხლე. ბოროდინოს გმირს უსაზღვროდ უყვარდა რუსეთი, მისი ძლიერების განმტკიცებაზე ფიქრობდა, მაგრამ ამავე დროს მას უყვარდა საქართველო. ფიქრობდა ქართველი ხალხის ბედნიერებაზე, მის მომავალსა და მშვიდობიან ცხოვრებაზე.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული პეტრე ბაგრატიონის წერილი, რომელიც დაწერილია ქართულ ენაზე და გამოგზავნილია ოთარ ამილახვრისადმი.

წერილი ძლიერ საყურადღებოა და ამიტომ ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.

წერილის ტექსტი ასეთია:

„მათს ბრწყინვალებას ამილახვარს ოთარს, ჩემს მწყალობელ უფალს, შესაბამსა პატივისცემასა მოუძღვანებთ. ვიცი, ჩვენს ამბავს ინებებთ სმენად და ყოველსავე ჩვენს ამბავს ჩვენი ძმა კნიაზ რომან ივანიჩი გიამბობთ.

სხვებრ ვითხოვთ თქვენის კეთილგონიერებისაგან, რომ თქვენის ჩვეულებისამებრ ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ერთგულებასა და თქვენის ქვეყნის სამსახურში გულსმოდგინე იყოთ, ვინაიდგან მათს დიდებულებას ყოვლად მოწყალეს ხელმწიფეს უდიდეს გულით სურს, რომ საქართველო ყოვლითურთ მშვიდობასა და ბედნიერებაში იყოს დაცული. ამისთვის თქვენც გმართებსთ, რომ ყოველნივე თქვენი ნათესავნი და მოყვარენი განამტკიცოთ ხელმწიფის ერთგულებასა და ქვეყნის სამსახურში.

თქვენ იცით, თუ რუსეთის უძლეველი მხედრობა და ყოვლად მოწყალის ხელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას არ შესწეოდა, აქამდინ დიდ უბედურებას მიეცემოდა და ამისთვის გმართებთ სრულის ერთგულებით სამსახური ხელმწიფისა და თქვენის ქვეყნისა და გირჩევთ სიყვარულით, როგორაც მანდ მყოფთ ჯართა დასჭირდეს პური თუ სხვა სახმარი ნივთი, შეძლებისამებრ შეეწიენეთ და სასყიდელიც მიიღოთ ხელმწიფისაგან. თქვენს ბრწყინვალებას ვარწმუნებ ამას, რომ თუმცა არ მინახივხართ, მაგრამ ვიცი ჩემის ძმის კნიაზ რომან ივანიჩისაგან თქვენი კეთილგონიერება და ერთგულება ხელმწიფისა, რომლისთვისაც მოხარული ვარ და კიდევაც ვითხოვ თქვენგან თქვენი ჩვეულებრივი სიმხნე და ერთგულება ხელმწიფისა და თქვენის ქვეყნისა არ მოშალოთ, რომლისთვისაც ხელმწიფისაგან მიიღებთ საკმაოს წყალობასა. და მეც მოვიდე და თვითონ მე გაჩვენებთ საქმით ერთგულებასა და სიყვარულსა, და სხვებ დავშთები უმწვერვალესსა პატივისცემასა შინა თქვენსა.

თქვენის ბრწყინვალების მარად მსახურებისა მოსურნე კნიაზ პეტრე ბაგრატიონი.

წელსა 1806. აპრილი 30“.

როგორც წერილიდან ჩანს, პეტრე ბაგრატიონი იმ ქართველთა შეხედულებას იზიარებდა, რომელთაც რუსეთთან საქართველოს მჭიდრო კავშირი ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრების საფუძვლად მიაჩნდათ. მას სჯეროდა, რომ „მოწყალეს ხელმწიფეს... გულით სურს, რომ საქართველო ყოველითურთ მშვიდობასა და ბედნიერებაში იყოს დაცული“. ოთარ ამილახვარს მოაგონებს, „თქვენვე იცით, თუ რუსეთის უძლეველი მხედრობა და ყოვლად მოწყალის ხელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას არ შესწეოდა, აქამდინ დიდს უბედურებას მიეცემოდა“. ამიტომ სთხოვს „სრულის ერთგულებით სამსახურს ხელმწიფისა და ქვეყნისადმი“ (იგულისხმება საქართველო). წერილიდან ჩანს, რომ პეტრე ბაგრატიონი საქართველოში ჩამოსვლასაც აპირებდა: „მეც მოვიდე და თვითონ მე გაჩვენებთ საქმით ერთგულებასა და სიყვარულსა“... (იქნება იყო კიდეც ჩამოსული თბილისში!)

დასასრულ ორიოდე სიტყვა წერილში მოხსენებულ „რომან ივანიჩის“ შესახებ. იგი პეტრეს უმცროსი ძმა იყო. რომან (იგივე რევაზ) ბაგრატიონი მონაწილეობდა რუსეთის ჯარის სამხედრო ექსპედიციებში. იგი მამაა ცნობილი ქართველი მეცნიერისა და გამომგონებლის პეტრე ბაგრატიონისა (1818-1876 წწ.), რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მან აღმოაჩინა და შეისწავლა კრისტალი, რომელსაც პროფესორ ნ. კოკშაროვის წინადადებით 1845 წლიდან „ბაგრატიონიტი“ ეწოდა. იგი ავტორია მთელი რიგი მეცნიერული შრომებისა.

რაც შეეხება წერილის ადრესატს, ოთარ ამილახვარს, იგი ერეკლე მეორის ერთგული პირი ყოფილა და მის შვილებს ეჭომაგებოდა, ქართველ თავადაზნაურობაში დიდი გავლენით სარგებლობდა. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ სთხოვდა ბაგრატიონი ამილახვარს რუსი ლაშქრისათვის ყოველმხრივი დახმარება გაეწია და მის „ნათესავებსა და მოყვარეთა“ შორისაც განემტკიცებინა რუსეთისა და საქართველოსადმი ერთგულება. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მჭიდრო კავშირი რუს და ქართველ ხალხებს შორის ორივე ქვეყანას სარგებლობას მოუტანდა.

პეტრე ბაგრატიონის მთელი ცხოვრებაც ამ ერთგულების მკაფიო დადასტურებაა.

რ. კეკელიძე.

ნოლენის ჭუჩა

თბილისში არის ქუჩა, რომელიც გამოჩენილი ფრანგი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის სახელს ატარებს. ამ ქუჩაზე დგას ცნობილი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი. ეს უბრალო დამთხვევა როდია. 1922 წელს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა იაკობ ნიკოლაძის სახელი მიენიჭებინა იმ ქუჩისათვის, სადაც ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე. მაგრამ ი. ნიკოლაძე არ დათანხმდა ამაზე და წინადადება წამოაყენა ქუჩისათვის მისი სახელოვანი მასწავლებლის, გამოჩენილი ფრანგი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის სახელი მიენიჭებინათ.

მეოცე საუკუნის დასაწყისი. სამხრეთ საფრანგეთის წითელი ღვინოებით სახელგანთქმული პატარა ქალაქი მედოკი. აქ, როდენის სახელოსნოში ხელოვნების საიდუმლოებას ეუფლება შორეული საქართველოდან ჩასული ჭაბუკი იაკობ ნიკოლაძე. როდენისათვის დამახასიათებელი დიდი სიმარტლე და პლასტიკური ხერხების მრავალფეროვნება, ნატურის დაუღალავი შესწავლა, კლასიკურ და ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობა, — ყოველივე ეს ი. ნიკოლაძისათვის მისაბაძი მაგალითი იყო საფრანგეთში. ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკე ქმნის საუცხოო ნაწარმოებებს — „ჩრდილოეთის ქალიშვილი“, „პარიზელი“, „მოცეკვავე“ და სხვა, რომელთაც სახეების პლასტიკური გამომსახველობით ხიბლავენ მნახველს. ისინ ახლაც იქცევენ პარიზის როდენის მუზეუმის მნახველთა ყურადღებას.

ხოლო თბილისში, იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში, ყველას ხიბლავს როდენის ცნობილი „კოცნა“. ამ სკულპტურული ჯგუფის თაბაშირის პირი დგას სახელოსნოს პატრონის ნამუშევართა შორის. ამას წინათ სახელოსნო და ყველა ექსპონატი სახელმწიფო საკუთრებად იქცა და ახლა ყველა მსურველს შეუძლია გაეცნოს გარემოს, რომელშიც შრომობდა იაკობ ნიკოლაძე.

აი სახელოსნოს მომიჯნავე პატარა ოთახი, თითქმის ისეთი, როგორიც მედოკში როდენის სახლში იყო. დაბალი ტახტი, წიგნების თარო, ვიწრო ფანჯარა... ასეთსავე ოთახში იბადებოდა „ჯოჯოხეთის კარიბჭისა“ და ვიქტორ ჰიუგოს ძეგლის ავტორის გენიალური შთანაფიქრი.

თბილისის სადგურიდან მატარებლის გასვლას რამდენიმე წუთი აკლდა. ერთ ვაგონთან თავი მოეყარა გამცილებელთა საკმაოდ დიდ ჯგუფს. ისინი ერთ ახლად უნივერსიტეტდამთავრებულს მოსკოვისა და ბერლინის გავლით პარიზში აცილებდნენ, სადაც სწავლა უნდა გაეგრძელებინა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ჭაბუკის ოცნება იყო მალე დაბრუნებოდა სამშობლოს და უცხოეთში მიღებული ცოდნა მისი კეთილდღეობისათვის მოეხმარებინა.

ძნელი წარმოსადგენი იყო გიორგი გეგელიასათვის, რომ ორი-სამი წლის ნაცვლად მას მოუხდებოდა 25 წლით განშორებოდა მშობლიურ კუთხეს, ან თუ 25 წლის შემდეგ დაბრუნებულს ვეღარ შეხვდებოდა იმ ნაცნობ-მეგობრების დიდი უმრავლესობა, ახლა პარიზისაკენ რომ აცილებდნენ.

იმ დღეს გიორგი, შეიძლება ითქვას, ზედმეტი გულდამშვიდებითაც მიემგზავრებოდა სამშობლოდან, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო სამოქალაქო ომის ჭრილობების მოშუშება.

ძნელი არ არის ასეთ დროს ახალგაზრდის გრძნობებისა და მისწრაფების გაგება, ახალგაზრდისა, რომელსაც საშუალება მიეცა შეისწავლოს საყვარელი საგანი მსოფლიოში ცნობილ პროფესორებთან. მალე ჩამოსვლის გეგმები კი არ განხორციელდა, სხვადასხვა მიზეზთა და გარემოებათა გამო 25 წელი სამშობლო მისთვის ოცნებად იყო ქცეული.

გიორგი გეგელია არასოდეს არ თვლიდა თავს ემიგრანტად, არც არასოდეს არ იზიარებდა მათ აზრს და მით უმეტეს იმ შავბნელ საქმეებს, რომლებსაც მენშევიკური ემიგრაციის

სპეციალის ხმა

№ 8, ივნისი, 1965 წ.

გორის თეატრის იუბილე

გორი. გორის თეატრს არსებობის მეასე წლისთავი უსრულდება. აქ პირველი ქართული სპექტაკლი დაიდგა 1865 წლის ივლისში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე აქ ჩამოყალიბდა ცენტრისმოყვარეთა მუდმივი წრე. იგი შემდეგში მუშათა თეატრად გადაკეთდა. მის ბაზაზე შეიქმნა გორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრი, რომლის პირველი სეზონი გაიხსნა 1940 წლის 30 იანვარს.

ქალაქის საზოგადოებრიობა უკვე შეუდგა თეატრის არსებობის ასი წლისთავისათვის მზადებას. განზრახულია ასი წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე ალინიშნოს მომდინარე წლის ოქტომბერში.

— ——



ლიანა ისაკაძე —ლაურეატი

პარიზში დამთავრდა ჟაკ ტიბოს და მარგარიტა ლონგის სახელობის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა ტრადიციული კონკურსი.

მევიოლინეთა შორის დიდი გამარჯვება მოიპოვა თვრამეტი წლის ქართველმა მუსიკოსმა ლიანა ისაკაძემ. ჟიურის გადაწყვეტილებით მას მიენიჭა კონკურსის პირველი ხარისხის დიპლომი, ოქროს დიდი პრიზი და ლაურეატის წოდება.

ლიანა ისაკაძემ დაამთავრა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლა (პროფესორ ლეო შიუკაშვილის კლასი) და ამჟამად სწავლობს მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მეორე კურსზე (პროფესორ დავით ოისტრახის კლასი).

ასი წლის პოეტი

ქახეთის სოფელ საქობოში არ დარჩენილა არავინ, ვისაც ახსოვდეს გიო კანანელის ბავშვობა. არც გასაკვირველია— მათს თაობასთან ერთად ხომ მალე ასი წელი შეუსრულდება. ლექსების წერა გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს დაიწყო. თავის პირველ ნაწარმოებებში სოფლელი პოეტი ასახავდა გლეხების უსიხარულო ცხოვრებას. ბუნებრივია, რომ ეს ლექსები არ მოსწონდა მეფის ცენზურას. ამ ლექსების გამო ავტორს სდევნიდნენ, აპატიმრებდნენ.

ბევრი სასიამოვნო მოგონებანიც შემორჩა ყოფილ მოჯამაგირეს. საქობელი პოეტი მეგობრობდა ქართული ლიტერატურის კლასიკოს ეგნატე ნინოშვილთან და პოეტ ირაოდიონ ევდოშვილთან. როგორც ყველაზე ძვირფას რელიკვიებს, ისე ინახავს იგი წერილებს, რომლებსაც სწერდნენ მას სიტყვის შესანიშნავი ოსტატები.

კანანელი საუცხოოდ ფლობს ქართული ხალხური პოეზიის ყველა ჟანრს. თავის პოემებში, თქმულებებში, ბალადებში იგი უმღერის სამშობლოს, დიდი სამამულო ომის გმირებს, მშობლიური მხარის ბუნებას, საკოლმეურნეო მინდვრების სახელოვან მშრომელებს.

უზრუნველყოფილია გიო კანანელის მოხუცებულობა. მშობლიური კოლმეურნეობა მას პენსიას აძლევს. ოჯახში ყურადღებითა და მზრუნველობით არის გარემოსილი. მას ჰყავს ორი ქალიშვილი, ვაჟიშვილი, 28 შვილიშვილი და შვილთაშვილი.

პოეტი კვლავინდებურად მხნედ გრძნობს თავს, აქვს კარგი მხედველობა და მეხსიერება. მას ზეპირად ახსოვს „ვეფხისტყაოსანი“ ბევრი თავი, ნაწყვეტები ბაირონისა და პუშკინის პოემებიდან. იგი ბევრს წერს, უფლის თავის საკარმიდამო ნაკვეთს, მზრუნველობას არც შვილთაშვილებს აკლებს.

გამოფენა მოგვითხრობდა

ერთი კვირის მანძილზე თბილისის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იყო დიდი სამამულო ომის მონაწილე მხატვართა ნაწარმოებების გამოფენა. გამოფენა დათვალიერეს მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, სტუდენტებმა, მუშებმა, კოლმეურნეებმა და მოსწავლეებმა.

დამთვალიერებლებს მოეწონათ ფერწერული ტილოები— მ. გვაჯაიას „ჩვენი ზეცის დამცველნი“, შ. გოშაძის „რაჭის პეიზაჟი“, გ. ძოძუაშვილის „ნიჩბისის კირის ქარხნის მშენებლობა“, გ. ჯორჯაძის და ს. ინაურის პეიზაჟები, ა. წიტაიშვილის „წინაპართა ბილიკით“, მ. კობასიძის „მხატვრის სახელოსნოში“, გ. კალანდაძის, რ. კეჭმაძის, ფ. სერგეიენკოს და სხვების ნამუშევრები.

დიდხანს ჩერდებოდნენ დამთვალიერებელნი ლ. თულაშვილის, ი. ტატიშვილის გრაფიკულ ნამუშევრებთან, ნ. ჩერკაშინის ნამუშევრებთან („ფიდელ კასტროს პორტრეტი“ და „საქართველოს სახალხო მხატვრის ს. ქობულაძის პორტრეტი“), რ. ბოჭორიშვილის სურათებთან „ომის საშინელებანი“, მ. ვარდიაშვილის პეიზაჟებთან.

ბევრი საინტერესო ნაწარმოები გამოიტანეს გამოფენაზე მოქანდაკეებმა გ. ბილანიშვილმა, ვ. მაღრაძემ, ა. ჟორდანიამ.

მეოთხედი საუკუნე განშორებაში

ხელმძღვანელობა აწარმოებდა საბჭოთა საქართველოს მიმართ.

გიორგი გეგელია მოწმე იყო იმისა, თუ როგორ ანიავებდნენ ემიგრაციის მეთაურები (რომლებიც დაახლოებით იყვნენ ყორდანიასა და რამიშვილთან) პარიზის კაბარეებსა და რესტორნებში საქართველოდან გატაცებულ სიმდიდრეს. მოწმე იყო იმისა, თუ როგორ შეავსეს ისედაც მრავალრიცხოვანი არმია პარიზის უმუშევრებისა ქართველმა რიგითმა ემიგრანტებმა. ისინი დაიფანტნენ სხვადასხვა ქალაქებში და დიდ ბედნიერებად თვლიდნენ, თუ კი ვინმეს ბარგს გადაუტანდნენ და ლუკმაპურისათვის ორიოდე გროშის შოვნით სიკვდილს გადარჩებოდნენ.

გიორგი გეგელიას პარიზში ჩასვლა ერთ დიდ სამარცხვინო საქმეს დაემთხვა, რამაც ნათელი მოჰფინა ემიგრანტების ძირგამომპალ დაჭაობებულ ცხოვრებას. ვინმე მერაბიშვილმა რევოლვერით მოკლა დამფუძნებელი კრების წევრი, ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი...

1924 წლამდე გრიგოლ ვეშაპელი თანამშრომლობდა მენშევიკებთან, მაგრამ 1924 წლიდან სრულიად შეიცვალა თავისი შეხედულებები. პარიზში მან დაიწყო ქართული გაზეთის გამოცემა, სადაც ქართველ ემიგრანტებს მოუწოდებდა სამშობლოში დაბრუნებას, ცხოვრებას და შრომას ქართველ ხალხთან ერთად. ვეშაპელი იყო ერთერთი იმათთაგანი, ვინც დაარსა საფრანგეთში „სამშობლოში დაბრუნების კავშირი“. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ მოსწონდათ მენშევიკების ლიდერებს, მათ არ აინტერესებდათ თანამემამულეების მატერიალური მდგომარეობა. სამაგიეროდ დიდი სიფხიზლით ადევნებდნენ თვალყურს იმათ, ვინც მათს იდეებს არ იზიარებდა.

ბევრ ქართველ ემიგრანტზე მეთვალყურეობა იყო დანიშნული, და ვაი იმას, ვინც არ გაჰყვებოდა მენშევიკ ლიდერების პოლიტიკას, ან შეეცდებოდა გამოეთქვა თავისი აზრი, ანდა მოუწოდებდა ვინმეს სამშობლოში დაბრუნებას. ერთხელ ნოე რამიშვილმა ეჭვი მიიტანა მერაბიშვილზე (ალბათ ისიც მეთვალყურეობის ქვეშ იყო), რომელიც ბერლინში ყოფნის დროს რაღაც საქმისათვის მისულა საბჭოთა საელჩოში. როდესაც დაბრუნდა პარიზში, რამიშვილმა ასეთი სიტყვებით მიმართა:

— საქვეყნოდ გაიძახი, რომ ჩამოშორდი საბჭოებს, სინამდვილეში კი უკავშირდები მათს წარმომადგენლებს.

მერაბიშვილი ცდილობდა თავი გაემართლებინა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ რამიშვილმა არ დაიცადა.

— თუ გინდა პარიზში იცხოვრო, დაგვიმტკიცე, რომ ჩვენს მხარეზე ხარ, საქმით დაგვიმტკიცე და არა სიტყვითო.

მერაბიშვილმა გადაწყვიტა როგორმე აღედგინა თავისი „ავტორიტეტი“ მენშევიკი ლიდერების წინაშე, დაემტკიცებინა თავის ერთგულება მათი იდეებისადმი, რისთვისაც მათივე მითითებით დაუდარაჯდა ვეშაპელს და რევოლვერით მოკლა.

ძნელი იყო გიორგი გეგელიასათვის შეგუებოდა მენშევიკების ზნე-ჩვეულებებს. ყველაზე მეტად უკვირდა ის, რომ ადამიანებმა, რომლებმაც თავიანთ დროშას დაუწერეს საამაყო სიტყვები — ბრძოლა სიტყვის, ბეჭდვისა და კრებების თავისუფლებისათვის, კუთხიდან მოფარფატენი კლავდნენ კაცს მხოლოდ იმისათვის, რომ მან გაბედა თავისი შეხედულებები გამოეთქვა.

მალე პარიზში მეორედ გაისმა გასროლის ხმა. გასროლის „ავტორი“ იყო საქართველოში კონტრრევოლუციურ-მენშევიკური აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე პარმენ ჭანუყაძე, ტყვიის მსხვერპლი კი — ნოე რამიშვილი.

რა ვერ გაიყვეს მენშევიკური მთავრობის ლიდერებმა? ფული? თბილი ადგილები? თუ თანამდებობები? ყოველ შემთხვევაში რამიშვილის მოკვლამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა ემიგრაციის დაავადებული სახე, ნათლად წარმოგვიდგა მგლის ბუნაგი, სადაც ერთმანეთისათვის ყელის გამოღადრა თუ სასახელოდ არ ითვლებოდა, ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და ბუნაგში მცხოვრებთა ყოფაქცევის ნორმად ითვლებოდა.

გიორგი გეგელია კი გახდა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. მისი პროფესორია ცნობილი ფრანგი იურისტი ლინედიუ დე ვაბრი. გეგელიას ნიჭით მოხიბლულმა პროფესორმა ურჩია მას მოესმინა სისხლის სამართლის კურსი ჟ. ბორდოში, სადაც ლექციებს კითხულობდა იურიდიული მეცნიერების ამ განხრის დიდი მცოდნე.

ჟ. ბორდოში შეხვდა გიორგი ქართველ ემიგრანტებს, რომელთა უმრავლესობა დოკებში ფიზიკური შრომით ლუკმაპურს შოულობდნენ. თანამემამულეთა შორის ბევრი იყო გიორგის თანატოლი, რომლებსაც დიდი ხანია ოცნებად გადაქცეოდათ სწავლა, რისთვისაც მათ არ გააჩნდათ არც დრო და არც საშუალება. მათი მომავალი ბურუსით იყო მოცული. ყოველ ქართველ ემიგრანტთან გიორგის შეხვედრა იყო შეხვედრა ადამიანის ცხოვრების ტრაგედიასთან. ღიმილი რაა, ღიმილი კი არა, უბრალოდ უდარდელი სახის დანახვაც დიდ იშვიათობას წარმოადგენდა.

გიორგი ხედავდა, რომ მენშევიკური ემიგრაციის მეთაურები ცუდად როდი იწყობდნენ საკუთარ ცხოვრებას იმ დროს, როდესაც ასობით სხვა, ხელმძღვანელობისაგან შორს მყოფი ქართველი ემიგრანტები ტვირთის გადმატანად, შავ მუშებად მუშაობდნენ სადგურებსა და ქარხნებში.

მისთვის ჩვეული უბრალოებით აღნიშნა გიორგი გეგელიამ ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღე. იგი დაქორწინდა სორბონის უნივერსიტეტის ახალგაზრდა ფრანგ სტუდენტ გოგონაზე. მალე გახდა ორი შვილის მამა, მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა — ერთი წლის შემდეგ ორივე შვილი რაღაც ბავშვურმა ავადმყოფობამ ხელიდან გამოაცალა. ცხოვრების ამ მძიმე დღეებში გეგე-

—

(გაგრძელება მე-7 გვ.).

„ტვიშის“ სამშობლოში



ამ ქალიშვილს — ქედის რაიონული ბიბლიოთეკის წიგნის დამტარებელს ხშირად ნახავთ მთის ბილიკებზე, კოლმეურნეთა ბინებში, ქედის კოლმეურნეობის დაშორებულ ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში. კომკავშირელი დარიკო ბარამიძე წიგნებით ამარაგებს იმათ, ვინც სოფლიდან დაშორებით შრომობს და ვისაც ნაკლები დრო აქვს იმისათვის, რომ ბიბლიოთეკაში შეიაროს. იგი 120-დე კაცს ემსახურება. თვითეული მათგანისათვის დარიკოს შერჩეული აქვს კარგი, საინტერესო წიგნი. ახალგაზრდა ბიბლიოთეკარი სისტემატურად აცნობს მკითხველებს თუ რა ახალი წიგნი გამოვიდა მხატვრული და საპოლიტიკო-სამეურნეო ლიტერატურის დარგში.

დიდი მეგობრობა აქვს დარიკო ბარამიძეს დაუსწრებელი განყოფილებების სტუდენტებთან. ისინი ხშირად სთხოვენ მას ამა თუ იმ საასწავლო დისციპლინისათვის სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურის შოვნას. ხშირად მიაქვს მას ლიტერატურა აგრეთვე პოლიტიკური განათლების სისტემის მსმენელთათვის.

მთის დაკლაკნილი გზის ორივე მხარეს ხეხილის ბაღები და ვენახებია გაშენებული. მწვანეში ძლივს მოჩანს პატარა კოხტა სახლები. კიდევ ერთ მოსახვევი, და მანქანა სოფელში შევიდა. ამ სოფლის სახელი — ტვიში ჰქვია სახელგანთქმულ ნატურალურ ღვინოს. „ვისაც ერთხელ მაინც დაუღევია ჩვენი ღვინო, — ამბობენ აქაური მევენახეები,—აღარ დაივიწყებდა მისი ნაზი ბუკეტი“.

მთის ფერდობზე გამწკრივებულან ვაზები. გაიშვიათებული ჰაერი, მზის ულტრაიისფერი სხივები და, რაც მთავარია, ვაზის საგულდაგულო მოვლა, — აი ის ფაქტორები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს აქაურ ცოლიკაურს.

ტვიშში ყველგან ვენახებია — კოლმეურნეობაში, კოლმეურნეთა კარმიდამოში, გზების გასწვრივ. აქ ვაზი ყველას უყვარს და დიდიან-პატარიან თავს ევლებიან მას. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ფილიპე ლომთაძეს რომ ჰკითხოთ, ვინ არის უხვი მოსავლის ოსტატი, უცებ ვერც გიპასუხებთ — ყოველ ოჯახში არიან ყურძნის მოსავლის, ღვინის დაყენების ოსტატები.

ტვიშში თითქმის მთელი წელიწადი ვენახებში ან სანერგეებში მუშაობს ხალხი. თვითეული ვაზი სათუთად არის მოვლილი, საგულდაგულოდ ადევნებენ თვალყურს თვითეულ მცენარეს, თვითეულ ფოთოლს. ახლაც ბევრი ხალხია ვენახებში. მიმდინარეობს მწვანე ოპერაციები. ეს დიდმნიშვნელოვანი აგრონომიული საშუალებაა, რომლის შესრულებაზე ბევრად დამოკიდებულია მოსავალი, კოლმეურნეები ვაზს აცლიან ზედმეტ ფოთლებს, ყლორტებს, მწვანე ოპერაციებით ხელს უწყობენ ყვავილის მთლიანად დამტვერვას, აადვილებენ ვაზის მკურნალობას.

50 ცენტნერი ცოლიკაური ჰექტარზე — ასეთია კოლმეურნეობის წლევანდელი გეგმა. მაგრამ მეგენახეებმა 60 ცენტნერის აღება გადაწყვიტეს. ეს ციფრი მთლიანად კოლმეურნეობას ეხება. ოსტატებმა კი ვალდებულება იკისრეს ჰექტარზე მოიყვანონ 80-90 ზოგმა კი 100 ცენტნერი ყურძენ.

სურნელოვანი პლანტაციები

დაახლოებით 60 ჰექტარზე გადაჰიმა წელს ყაზანლიუის ვარდის პლანტაციები. 352 ჰექტარზე გაიხარებს წითელი გერანი, რეჰანი, პაჩული, ყასმინი.

შენდება საუკეთესო ჯიშის ეთერზეთოვანი კულტურები.

ეთერზეთოვანი ქარხნების კოლექტივები მომზადებული შეხვდნენ სეზონს. შვიდ ქარხანაში აწარმოებენ ვარდის ფურცლების კონსერვაციას, რაც მარტო დანაკარგს შეამცირებს, არამედ გაადიდებს ვარდის ზეთის გამოსავლინობას.

საქართველოს ეთერზეთოვანი ქარხნები წელს 50.000-მდე კილოგრამ ზეთს გამოიმუშავებენ, 9 ათასი კილოგრამით მეტს, ვიდრე შარშან.

დეკეშა პარიზიდან

„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ თარგმანს მიენიჭა ლანგლუას სახელობის პრემია

საფრანგეთის ლიტერატურული და ფართო მკითხველ ზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეხვდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სრულ ტურ თარგმანს, რომელიც სულ წელს ცალკე წიგნად გამოსაფრანგეთის ერთ-ერ უდიდესმა გამომცემლობამ ლამარმა“.

ამ თარგმანის გარშემო საფრანგეთის პრესაში დაიბეჭდა რამდენიმე საყურადღებო სტატია, წერილი.

ამ დღეებში „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელ **სერგი წულაძემ** პარიზიდან ღონ დეპეშა. რომელსაც აწერს საფრანგეთის მეცნიერთა აკადემიის მუდმივი მდივანი **მორის ჟენევუა.**

დეპეშაში აღნიშნულია, **საფრანგეთის მეცნიერებათა დემიამ თავის მორიგ სხდომაზე „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანს მიანიჭა 1965 წლის გლუას სახელობის პრემია.** პრემიას ყოველწლიურად ხელ ანიჭებენ ფრანგულ საუკეთესოდ თარგმნილი მოებებისათვის.

გ რ ძ ო ლ ი თ გ ა ნ ვ ლ ი ლ ი გ ზ ა

(დასასრული).

ჩემგან ზურგით უცნობი ჯარისკაცი იდგა და კლდეზე საღებავით მონდომებით გამოჰყავდა უკვდავი რუსთაველის მრავლისმთქმელი აფორიზმი. სასწაულებრივად გრძნობამ მომიცვა. რაც იქ ვიგრძენი, ეს ძალზე ძნელი გადმოსაცემია.

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ჯარისკაცი ჩვენი სახელოვანი მხატვარი დიმიტრი თავაძე იყო.

უზუნაიის და აკმანაის მიდამოებში ბევრია ქვის ბუნებრივი გამოქვაბული. ერთ-ერთი მათგანი საოპერაციოდ აირჩიეს. აქ დღედაღამე ფუსფუსი იყო. ისმოდა დაჭრილთა კვნესა...

და აი ერთ დღეს... გარეთ ისევ იწვოდა ცა და მიწა, გარეთ ისევ იბრძოდნენ, იბრძოდნენ შეუბრალებლად, არც მიწურში იყვნენ მშვიდად, აქაც ბრძოლა იყო. მხოლოდ... გარეთ იჩეხებოდნენ, იჭრებოდნენ... აქ, მიწურში კი სიცოცხლეს უბრუნებდნენ.

მიწურშიც შემოაღწია ყუმბარის ნამსხვრევმა და მორიგი ოპერაციისათვის გამზადებული ექიმი ქალი მხარში დაიჭრა. ჭრილობა არცთუ უმნიშვნელო იყო. რამდენიმე დღის შემდეგ ელეონორა, სხვებთან ერთად ევაკუირებული, უკან, ქერჩისაკენ დაბრუნდა. გზა განუწყვეტლივ იბომბებოდა, ამიტომ გზიდან გადადიოდნენ და ბუჩქებში აფარებდნენ თავს, ღამე კი მიდიოდნენ. ამ ტანჯვა-წვალებით 9 დღის შემდეგ ქერჩს მიუახლოვდნენ. ერთ-ერთი შესვენების დროს სწრაფად ჩამოიქროლეს მტრის თვითმფრინავებმა და... ელეონორა ძლიერმა ბიძგმა ჰაერში აიტაცა და შემდეგ არ ახსოვს... გონს მალე მოვიდა. ბომბისაგან ამოთხრილ ორმოში იყო ჩამარხული, მხრებზე ვიღაცის ჩექმიანი ფეხები ეწყო, მარცხენა ხელი და სახის მცირე ნაწილი მოუჩანდა. აზროვნებდა, ხედავდა, მხოლოდ ვერ მოძრაობდა, არაფერი ესმოდა და ვერც ლაპარაკობდა. ოთხი-ხუთი საათის შემდეგ იპოვნეს, ამოიყვანეს, კონტუზია—ამჯერად ასეთი იყო დიაგნოზი. შემდეგ ჰოსპიტალიდან ჰოსპიტალში. სამი თვის მანძილზე არც ესმოდა და ვერც ლაპარაკობდა.

დრომ და მკურნალობამ თავისი შედეგი გამოიღო. ექიმი ქალი ვალმოხდილი დაუბრუნდა სამშობლოს, მკერდს წითელი ვარსკვლავის ორდენი და ოთხი მედალი უმშვენებდა. გამოჯანსაღების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო 368 სამხედრო ჰოსპიტალში ქირურგად. ეს ჰოსპიტალი ჭუთაისში იდგა.

1945 წლის 9 მაისი.

საბჭოთა მებრძოლებმა საბოლოოდ ჩასცეს მახვილი ფაშიზმის ურჩხულს და რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ააფრიალეს.

ზეიმობდა მთელი ჩვენი ქვეყანა.

ზეიმობდნენ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანები.

ამ სიხარულს ყველაზე ძლიერად და თანაც მწარედ დაჭრილები განიცდიდნენ. ჭუთაისის ჰოსპიტალში უცნაური ფორიაქი იყო. დაჭრილები ერთი წამით ვერ ისვენებდნენ. უმრავლესობას თითქმის მთელი ღამე არ უძინია. ზოგს წამოდგომა და გაქცევა სურდა, მაგრამ ყავარჯნებს ჯერ კიდევ ვერ შეგუებოდა. ზოგს ტაშის შემოკვრა უნდოდა და ხალათის ცარიელ სახელოს ექაჩებოდა. ზოგს ეცინებოდა, მაგრამ ნაირაგვი სახისათვის თავი ვერ მოეყარა. იმ ღამეს მორიგე იყო ელეონორა. დაჭრილებთან ერთად ფხიზლობდა, მათთან ერთად ელოდა, განიცდიდა, წუხდა და უხაროდა. მის ბედს იზიარებდნენ ომგადახდილი სამხედრო ექიმები რუსუდან გიჟიმყრელი, ვენერა დუგლაძე, ალიოშა ქურციკიძე.

ამ დღეს, სწორედ ამ დღეს იგრძნო ელეონორამ ის სიხარული და სიამაყე, რომელიც მას შემდეგ ასეთი სიძლიერით არასოდეს არ განუცდია.

— ჩემდა უნებურად ცრემლით ამევსო თვალები. ეს სიხარულის ცრემლები იყო. გონებაში ერთიმეორის მიყოლებით სწრაფად გაირბინა ფრონტზე გატარებულმა დღეებმა. წამოიშალნენ მწარე მოგონებები, გაისხნა ძველი ნაიარევი. ვიდექი და ვფიქრობდი: „აი, ავიხდა ის, რაზეც მთელი შენი სიცოცხლე ოცნებობდი, შენ იბრძოდი სამშობლოს თავისუფლებისათვის, შენ იბრძოდი თანამემამულეთა სიცოცხლისათვის, დიდ გამარჯვებაში შენი პატარა წვლილიც არის, მაგრამ ვანა მცირედით არ იქმნება დიდი?“. ეს სიხარული და სიამაყე მიმსუბუქებდა განვლილს და ნახულს.

დამთავრდა ომი. ადამიანები თავიანთ ოჯახებს და საქმეს დაუბრუნდნენ...

ელეონორა განაგრძობდა პრაქტიკულ და სამეცნიერო საქმიანობას. დაიცვა დისერტაცია და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. ომის დამთავრების შემდეგ თითქმის ყველა მედიკოსი დემობილიზებულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებიდან. ელეონორა კი 1947 წლამდე მუშაობდა ჰოსპიტალში როგორც სამხედრო ექიმი...

ამჟამად ღვაწლმოსილი ექიმი ელეონორა მესხი რესპუბლიკის მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ერთ-ერთი განყოფილების გამგეა. აქ იგი ეწევა პრაქტიკულ და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას.

ელეონორა ძირითად საქმიანობას საზოგადოებრივ მუშაობასაც უფარდებს. არის აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის საკავშირო და რუსპუბლიკური კომიტეტების წევრი, აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მეორე კონფერენციის დელეგატი გვინეაში და სოლიდარობის საბჭოთა პირველი კონფერენციის დელეგატი ტაჯიკეთში. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის 10 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულია მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს სპეციალური სიგელით.

— შემდეგი! — გარკვევით ისმის საოპერაციოში. შემოჰკავთ. ამჯერად მხოლოდ პაციენტი ელავს.

— დანა, პინცეტი, კოხერი, ნიკულიჩი! — ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაისმის ოთახში და მალე დაძაბულ სიჩუმეში ახალშობილის ტირილი ისმის.

— ეს ერთი და სხვა მრავალი, — თავისთვის ფიქრობს ექიმი.

დაე ემრავლოთ ბედნიერი ქვეყნის პატარებს, ისინი საიმედო ხელში არიან.

დური შენგელია.

მეოთხედი საუკუნე განმორებაში

(გაგრძელება).

ლია მთელი თავისი შესაძლებლობით და მონდომებით სწავლობდა. კარგი იყო, რომ მამა უგზავნიდა ქართულ გაზეთებს თბილისიდან. გაზეთები კი მოუთხრობდნენ იმ დიდ და შესანიშნავ გარდაქმნებზე, რომლებსაც საბჭოთა საქართველო, ქართველი ხალხი ახდენდა. გაზეთის ყოველ სტრიქონს, ყოველ ახალ ამბავს გიორგი გადაჰყავდა მშობლიურ კუთხეში. და აი ამ დროს სადღაც გულის სიღრმეში მას ებადებოდა აზრი, რომ შეძლებდა თუნდაც ერთი ქვის დადებას სამშობლოს კეთილდღეობის საძირკველში.

ზოგჯერ დარდისაგან მოქანცულ ხალხს იმედი გაუმართლდებოდა — რადგითი ისმენდნენ მშობლიური ქალაქის თბილისის ხმას. ხშირად კი თავს მოიყრიდნენ რომელიმეს ოჯახში და ქართული სიმღერებით დროებით იქარვებდნენ დასევდიანებულ გულს.

ერთხელ გეგელიას ეწვია უცნობი ქალი:

— მე ანრი ბარბიუსის მდივანი ვარ, — უთხრა უცნობმა. — ბარბიუსმა გთხოვათ თქვენთვის ხელსაყრელ დროს შეიაროთ მასთან.

— ბარბიუსს სურს ჩემი ნახვა? — ეკითხებოდა საკუთარ თავს გ. გეგელია.

რამდენიმე დღის შემდეგ მღელვარებით ჰკაკუნებდა გიორგი გამოჩენილი ფრანგი მწერლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, კომუნისტ ანრი ბარბიუსის სახლის კარზე. საუბარი საქართველოს შესახებ მიმდინარეობდა. ანრი ბარბიუსი სტუმრად ყოფილიყო საქართველოში 1927-28 წლებში გ. გეგელიას ბიძასთან ფარნაოზ ალექსანდრეს-ძე გეგელიასთან. მთელი საღამო საუბრობდნენ ქართველი სტუდენტი და საფრანგეთის საუვარელი მწერალი. იმ საღამოს შემდეგ გეგელია ბარბიუსის სასურველი სტუმარი გახდა. ანრი ბარბიუსის ოჯახში გაიცნო გიორგიმ რომენ როლანი, და ალბათ ეს ნაცნობობა იყო მიზეზი იმისა, რომ მრავალ წლის შემდეგ გეგელიამ თავის შვილობად ჩათვალა ეთარგმნა რომენ როლანის უკვდავი რომანი „ჟოლა ბრუნიონი“.

1934 წელს უნივერსიტეტის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გ. გეგელია პარიზის კრიმინალისტურ ინსტიტუტში შედის. ეს ის წელი იყო, როცა საფრანგეთის მუშათა კლასმა თავის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩაშალა ფაშისტური გადატრიალება, ეს ის წელი იყო, როცა შეიქმნა ერთიანი ფრონტი, რომელიც შემდეგ გადაიქცა ანტიფაშისტურ სახალხო ფრონტად და პირველად უკუაქცია ფაშიზმი.

ამასთანავე ეს იყო წელი, როცა ფაშისტური ორგანიზაციის ორასი ათასი ახალგაზრდა პარიზის ქუჩებში დაემუქრებოდა პოლკოვნიკ გრაფ დე ლა როკის ხელმძღვანელობით.

მდგომარეობა კაპიტალისტურ სამყაროში ნათლად მეტყველებდა მსოფლიო ომის მოახლოებულ საშიშროებაზე.

(გაგრძელება იქნება)

საზაფხულო დასვენება

საქართველოს პროფკავშირებმა მაღალი მთისა და ზღვის საუკეთესო კურორტებზე მოაწყეს სტუდენტთა საზაფხულო სასპორტო გამაჯანსაღებელი ბანაკები. აქ თავის ჯანმრთელობას გაიუმჯობესებს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა ათასზე მეტი სტუდენტი. სასპორტო-გამაჯანსაღებელი ბანაკებისათვის გამოყოფილია 16.350 ადგილი.

ბაკურიანში წავლენ ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები. თბილისის უნივერსიტეტის, ცხინვალისა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთათვის გამაჯანსაღებელი ბანაკი მოეწყო გუდაუთაში, რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები დაისვენებენ გაგრის, გულრიფშის, ქობულეთის და ავადხარის გამაჯანსაღებელ ბანაკებში.

ახალგაზრდობისათვის რესპუბლიკის პროფკავშირებმა გამოჰყვეს ბორჯომის, ჭობულეთის, გაგრის, წყალტუბოს, გუდაუთის, ახალი ათონის, კისლოვოდსკის, ჟელეზნოვოდსკისა და სხვა კურორტების სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების 1.200 შეღავათიანი და უფასო საგზური.

ასობით სტუდენტი ტურისტული საგზურით წავა მოსკოვში, ლენინგრადში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, ვოლგაზე, სვანეთში, იმოგზაურებს საქართველოს სამხედრო გზით, ოსეთის სამხედრო გზითა და სოხუმის სამხედრო გზით.

●

საკვლევ ინსტიტუტში

ტურიზმის განვითარების საინტერესო გეგმა შეიმუშავა სოხუმის ტურიზმის საზოგადოებრივმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. ექსკურსიები ეწყობა ახალი ათონის რაიონში, სადაც შესწავლილ იქნება კარსტული გამოქვაბულები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლები, შემუშავდება საექსკურსიო კომპლექსები ტურისტებისა და დამსვენებელთათვის.

თვითმოქმედი ტურისტების მომსახურების მიზნით, რომლებიც სოხუმის სამხედრო გზით მოგზაურობენ, შედგენილია მეთოდური სახელმძღვანელო. გამოსაცემად მზადდება ცნობარები და მეგზურები „სოჭიდან სოხუმში“, „რიწის ტბა“ და სხვა.

მასობრივი ტურიზმის კერები

დაიწყო ტურისტთა 36 საქალაქო და რაიონული კლუბის რესპუბლიკური დათვალიერება.

რესპუბლიკაში მასობრივი ტურიზმის ნამდვილი კერები გახდა ტურისტთა ის კლუბები, რომლებსაც სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში აქვთ 2.500-ზე მეტი ტურისტული სექცია. ტურისტული კლუბების გამგეობანი, მუშაობენ რა საზოგადოებრივ საწყისებზე, აწყობენ მშრომელთა მასობრივ ლაშქრობებსა და სეირნობას, ტურისტული აღჭურვილობის გამქირავებელ პუნქტებს, ამზადებენ კადრებს მასობრივი ტურიზმისათვის. წელს მოამზადებენ 1.550 ინსტრუქტორსა და უმცროს ინსტრუქტორებს — ტურიზმის ორგანიზატორებს. ისინი სათავეში ჩაუდგებიან საწარმოებისა და ორგანიზაციების ტურისტულ სექციათა სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას.

ახლა ტურისტული კლუბები აწყობენ წინასწარ შესარჩევ მეცადინეობას ტურისტული ორიენტირების რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის, რომელიც ეძღვნება პროფკავშირთა VIII სრულიად საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადას.

წერილი გიორგი კორძაძეს

გესმის ჩვენი ხმა?

ნინა კორძაძე თბილისელმა ნათესავმა მოიყვანა ჩვენს რედაქციაში. ნაადრევი ჭაღარა, რომელიც ნათლის გვირგვინივით დასდგომოდა თავს, კიდევ უფრო მეტ მომხიბვლელობას ანიჭებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალს.

— აი, ამ კაცს ვეძებთ, — მღელვარებით თქვა და ქალალდში გახვეული ფოტოსურათი გადმომცა. — თუ დიდად არ შეწუხდებით, დამეხმარეთ.

ფოტოსურათიდან ორმოცდახუთიოდე წლის, მკვრივად ჩასხმული შავგვრემანი მამაკაცი იყურებოდა. ხელში სხვა ფოტოსურათი ეკავა, რომელზეც ვარკვევით მოჩანდა ჭაღარათმიანი ქალი და ახალგაზრდა ვაჟი.

გამოკვირდა. გამიკვირდა, რადგან იმ სურათზე, რომელიც მამაკაცს ეკავა ხელში, სწორედ ეს ჭაღარათმიანი ქალი შევიცანი, ახლა ჩემს წინ რომ იჯდა. სურათი კი არც თუ დიდი ხნის გადაღებული უნდა ყოფილიყო.

საუბარში ყველაფერი გაირკვა...

ნინა და **გიორგი კორძაძეებმა** სულ ერთი წელი იცხოვრეს ერთად. გიორგი ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ჯარში. სახლში დარჩა მოხუცი დედა, დაძმები, ფიზმეძმე მეუღლე. ვაჟიშვილის დაბადების სასიხარულო ამბავი ჯაშინ გაიგო, როცა ქერჩის მისადგომებთან ებრძოდა გერმანელ ფაშისტებს. ჩემი ვაჟკაცის სურათი გამომიგზავნეთო, ითხოვა მამამ, მაგრამ სურათისათვის მაშინ არავის ეცალა და მის მაგიერ პატარა ნუგზარის ხელისა და ფეხის მონახაზები გაუგზავნეს სახსოვრად. არავინ იცის, მიიღო თუ არა მეომარმა მამამ ეს ძვირფასი საჩუქარი. მას შემდეგ გიორგი კორძაძის წერილი ქუთაისში აღარ მოსულა. მოხუცი დედა შვილზე დარდმა გადაიტანა — ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. სხვები ცოცხლები დარჩნენ და იმედით მოჰყურებდნენ მომავალს.

ომი დამთავრდა. ვალმოხდილი მებრძოლები დაუბრუნდნენ საკუთარ სახლკარს. გიორგი კი არ ჩანდა.

მოლოდინში გადიოდა წლები.

1958 წელს ნინო კორძაძე ქუთაისში პროფესორმა სიდამონ-ერისთავმა ინახულა და სასიხარულო ამბავი აცნობა: **თქვენი ქმარი ცოცხალია და ავსტრალიაში ცხოვრობსო.** სიდამონ-ერისთავს აქტიური მიმოწერა ჰქონდა საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულეებთან და გიორგის ამბავიც სწორედ მათი საშუალებით გაეგო. სამწუხაროდ, პროფესორმა გიორგის ზუსტი მისამართი არ იცოდა.

ახლა კიდევ უფრო გაგრძელდა დღეები და ღამეები. მოლოდინში გადაიღალა ერთგული მეუღლის თვალი და გული, უდიდეს მწუხარებასა და ფიქრში გაჭაღარავდა ახალგაზრდა ქალი.

ბოლოს ნანატრი წერილიც მოვიდა სიდნეიდან. თავის ცოცხლად გადარჩენასა და ჯანმრთელობას იტყობინებოდა გიორგი, ოჯახზე და ახლობლებზე სწუხდა, სამშობლოს წინაშე არაერთარი დანაშაული არ მიმიძღვისო, სწერდა.

ერთგულმა მეუღლემ უმალვე საპასუხო წერილი აფრინა ავსტრალიაში, თან თავის ვაჟკაცთან ერთად გადაღებული სურათიც გაატანა.

გავიდა ერთი წელი, ორი, სამი... პასუხი კი არა და არ ჩანდა...

ამ ერთი თვის წინათ, ვიღაცა კაცი მისულა კორძაძეების ბინაზე ქუთაისში. სახლში არავინ დახვედრია და მეზობლისათვის დაუტოვებია სწორედ ის სურათი,რომელშიც გიორგის თავისი მეუღლისა და ვაჟიშვილის ფოტოსურათი უჭირავს ხელში. ცხადი იყო, გიორგის მიუღია ნინოს მიერ გაგზავნილი წერილი, მაგრამ პასუხის გამოგზავნაზე თავი შეუკავებია. ამ ამბავმა კიდევ უფრო აფორიაქა საბრალო ქალი. ახალი სადარდებელი გაუჩინა მის ოჯახს. სწორედ ამ სადარდებელმა მოიყვანა ის ჩვენს რედაქციაში.

გიორგის სურათთან ერთად იმ უცნობ მამაკაცს ბლოკნოტის პატარა ფურცელზე ფანქრით ნაწერი მისამართიც მოეტანა. დროთა განმავლობაში ფანქრის საღებავი ფითქმის მთლად წაშლილიყო და ოჯახის წევრებს მისამართი ვეღარ გაერჩიათ... მე ეჭვი არ მეპარება, რომ აი ეს გაზეთი, ეს წერილი გიორგიმდე აუცილებლად მიაღწევს. და მე მინდა გაიგოს გიორგიმ თუ როგორ ელოდებიან მის წერილს საქართველოში, მინდა იცოდეს მისი და-ძმების კარგად ყოფნის ამბავი, იცოდეს, რომ მისი ვაჟი, მისი საყვარელი ნუგზარი — ახლა უკვე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მოწინავე სტუდენტი, დღემდე უნახავ მამასთან შეხვედრას ნატრობს და მხოლოდ კარზე მომდგარი გამოცდების გამო ვერ მოვიდა პირადად ჩვენს რედაქციაში, რათა თავისი სიტყვა დაებარებინა ამ გაზეთისათვის.

— „სახლში გაკეთებული ტყემალი ყველაფერს ერჩია ჩემს გიორგის“.

ეს სიტყვები, რომელსაც თან წმინდა ცრემლებიც ახლდა, ნინა ბარნაბის ასულ კორძაძეს ეკუთვნის, კარგ ქართველ მანდილოსანს, საუკეთესო ოჯახის დედას.

ერთგული მეგობრის ეს ჩუმი ამონაკვნესი ალბათ ავსტრალიამდეც მიაღწევს.

გ. კავთიაშვილი.

• • •

სურათზე: მარცხნიდან — ქეთევან, ნუგზარ და ნინო კორძაძეები.



საქართველოს ზღვისპირეთის ერთ-ერთი საუკეთესო კურორტის — გაგრის ტურბაზა.

სპორტული მიმოხილვა

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ თბილისის „დინამომ". ქართველმა ფეხბურთელებმა მეოთხედფინალურ მატჩში დაამარცხეს ორეხოვო-ზუევოს „ზნამია ტრუდა" (2:1) და ნახევარფინალში გავიდნენ.

ეს მატჩი თბილისში გაიმართა. „ზნამია ტრუდა" „ბ" კლასის კოლექტივია, მაგრამ ცნობილია როგორც თასისათვის მებრძოლი გუნდი (იგი ფინალშიც კი გავიდა 1960 წელს). დინამოელები გულგრილად მოეკიდნენ მოწინააღმდეგეს და ძირითად დროში ვერ შესძლეს მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა. მხოლოდ დამატებითმა დრომ გამოავლინა გამარჯვებული. ნახევარფინალში ჩვენი დინამოელები მინსკის თანაკლუბელებს შეხვდებიან.

თუ თასზე წარმატებით გამოდიან დინამოელები, სამაგიეროდ სსრ კავშირის პირველობაზე წაიბორძიკეს. მათ ორი მატჩი წააგეს და ისიც საკუთარ მინდორზე (ორი წელია რაც „დინამო" თბილისში არ დამარცხებულა), ლენინგრადის „ზენიტთან" და მოსკოვის „დინამოსთან" (1:2, 1:2) და ფრედ 1:1 ითამაშეს დონეცკის „მახტიორთან". ახლა ისინი 3 ქულით ჩამორჩებიან ლიდერს მოსკოვის „ტორპედოს". ჯერ ადრეა რაიმეს თქმა, უნდა ვიფიქროთ, რომ მდგომარეობა გამოსწორდება.

წარმატებით დაიწყო თავისი გამოსვლები უიმბლდონის ტურნირზე ა. მეტრეველმა, პირველი შეხვედრა მან მოუგო იამაიკელ რასელს — 3:1 (6:3, 6:8, 11:9, 6:2), მეორე შეხვედრა კი ფრანგ დ. უონტეს — 3:0 (6:3, 8:6, 10:8).

ვ ე ლ ო მ რ ბ ო ლ თ ა საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც მონაწილეობენ პოლონეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები გიტჩში, ადგილიდან 500 მეტრზე გაიმარჯვა ო. ფხაკაძემ (54,2). რომ იგი უძლიერესია, ქართველმა სპორტსმენმა რამდენიმე დღის შემდეგაც დაამტკიცა, როცა ფინალში დაამარცხა პოლონელი ი. კიშკოვსკი.

ჩ ვ ე ნ ი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ გურამ საღარაძე მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. დიდი მიღწევებისათვის ქართველ ათლეტს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა.

ი რ ა ნ ე ლ ი ძალოსნები ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად საქართველოს დედაქალაქს ესტუმრნენ. საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა ქართველ და ირანელ ათლეტთა შერკინება. სპორტსმენებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს. საბოლოო გამარჯვება საქართველოს ძალოსნებს დარჩათ — 5:2.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მიიწვიეს თბილისის დინამოელები მ. მესხი, ს. მეტრეველი და ვ. ბარქაია, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს პირველობის შესარჩევ მატჩში დანიასთან.

აფხაზეთის კურორტებზე

ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის მხარეს უწოდებენ აფხაზეთს საბჭოთა საქართველოს ამ კუთხეში მომჯადოებელი პეიზაჟებია, რბილ სუბტროპიკული კლიმატი, ცხოველმყოფელი ჰაერი, რომელიც გამსჭვალულია ზღვის სუნით და თოვლიანი მთების სუნთქვით. შესაძლოა ეს არის აფხაზთა დღეგრძელობის მიზეზი: აქ ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ას წელზე მეტი ხნისაა.

მაგრამ აფხაზეთი განთქმულია არა იმდენად ხნიერთა რეკორდული რიცხვით, რამდენადაც თავისი კურორტებით. კეთილმოწყობილი ჯანმრთელობის კერები, პანსიონატები, ტურისტული ბაზები ყოველწლიურად ჩვენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ასეულ ათასობით კაცს იზიდავს.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.

მ ო ი ს მ ი ნ ე თ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათის 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე— 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.